შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს სხდომის

ო ქ მ ი N 2

2022 წლის 3 ივნისი, ქალაქი ონი

სხდომას ესწრებოდნენ:

ლევან შერაზადიშვილი- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე;

მანანა ჩაგელიშვილი - მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდობის საქმეთა, ბავშვის უფლებების დავისა და მხარდაჭერის სამსახურის უფროსი, კომისიის წევრი;

მარინე რაზმაძე - სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი

ხათუნა ღუღუნიშვილი - განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა განყოფილების ხელმძღვანელი;

ვეფხია გუგეშაშვილი - შშმ პირი, კომისიის წევრი

თამარ ლობჯანიძე - ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილების ხელმძღვანელი

ლამარა გამყრელიძე - მუნიციპალიტეტის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდობის საქმეთა, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი განათლების საკითხებში, საბჭოს მდივანი.

საპატიო მიზეზით სხდომას არ ესწრებოდა:

ია ალიბეგაშვილი- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს წევრი, შშმ პირი

სხდომა მიყავდა:

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს, ლევან შერაზადიშვილს.

ლ. შერაზადიშვილი მიესალმა კომისიის წევრებს და გააცნო სხდომის დღის წესრიგი.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვისა და მუნიციპალიტეტში ამ მიმართულებით განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ შშმ პირების სამართლებრივი უფლებაუნარიანობის რეალიზების ხელშეწყობა

მომხსენებელი - მარინე რაზმაძე - სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის განყოფილების ხელმძღვანელი;

2. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პოტენციალისა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მათი წვლილია პოპულარიზაცია.

მომხსენებელი - მირანდა მეტრეველი -მერიის წარმომადგენლებთან კოორდინაციის განყოფილების უფროსი;

3.დამოუკიდებელი ცხოვრების შესახებ ინფორმაციით, მხარდაჭერითა და კონსულტაციით სარგებლობა ადგილობრივი თვითმმართველობის სოციალურ, კულტურული. სპორტულ ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის შესაძლებლობა სხვებთან თანაბარ პირობებში

მომხსენებელი მანანა ჩაგელიშვილი - განათლების, კულტურის სპორტის, ახალგაზრდობის საქმეთა, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურის უფროსი

4. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო და მუნიციპალური პროგრამების მორგება, სოციალური დახმარების გაცემა

მომხსენებელი მარიამ რაზმაძე - სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების ხელმძღვანელი

მ ო ი ს მ ი ნ ე ს 1:

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვისა და მუნიციპალიტეტში ამ მიმართულებით განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ შშმ პირების სამართლებრივი უფლებაუნარიანობის რეალიზების ხელშეწყობა

მომხსენებელი - მარინე რაზმაძე - სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის განყოფილების ხელმძღვანელი;

მომხსენებელი მარიამ რაზმაძე აღნიშნავს, რომ მუნიციპალიტეტში გარკვეული მუშაობა მიმდინარეობს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვისა და მუნიციპალიტეტში ამ მიმართულებით განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ შშმ პირების სამართლებრივი უფლებაუნარიანობის რეალიზების მიმართულებით. სისტემატიურად მოწმდება შშმ პირთა უფლებების დაცვის მდგომარეობა და იგეგმება ღონისძიებები ამ მიმართულებით არსებული მდგომარეობის შესასწავლად. უნდა აღინიშნოს, რომ ონის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ შშმ პირებთან მიმართებაში, არ გამოვლენილა ძალადობის, არასათანადო მოპყრობის ან დისკრიმინაციის ფაქტები. შშმ პირთა უფლებების დაცვის მიმართულებით.

შშმ პირთა უფლებების დაცვის მიმართულებით მუნიციპალიტეტში შშმ პირების სამართლებრივი უფლებაუნარიანობის რეალიზების ხელშეწყობის მიზნით, სოციალური პროგრამით გათვალისწინებული ფინანსური დახმარების გაცემის მონიტორინგის დროს გამოვლინდა ორი შშმ პირი, რომლებსაც ქონდა გარკვეული პრობლემა უფლებრივ მდგომარეობასთან დაკავშირებით, რაც ყურადღებიდან არ გამორჩენია მერიას და მერიის იურიდიულ სამსახურს. მათი ჩართულობით, დეტალურად იქნა შესწავლილი არსებული ვითარება და გატარდა შესაბამისი ზომები. კერძოდ ორივე მოქალაქემ, ჩვენი კონსულტაციის შემდეგ და დახმარებით, მიმართა სამოქალაქო რეესტრს, დარეგისტრირდნენ ონის მუნიციპალიტეტში , მიიღეს ელექტრო პირადობის მოწმობები. ამან შესაძლებლობა მოგვცა, მათივე განცხადების საფუძველზე, ონის მუნიციპალიტეტის მერიის მაღალმთიან დასახლებაში მცხოვრებთა სტატუსის მართვის საბჭოს რეკომენდაციით და მუნიციპალიტეტის მერის გადაწყვეტილებით მიგვენიჭებინა მთის სტატუსი და ახლა ისინი უკვე სარგებლობენ მაღალმთიანი დასახლების მაცხოვრებლისთვის განკუთვნილი შეღავათებით.

ჩვენი და სოციალური მომსახურების სააგენტოს ონის რაიონული სამსახურის ჩართულობით, ერთი შშმ პირი დარეგისტრირდა სოციალურად დაუცველ ოჯახთა ერთიან ბაზაში და დაენიშნა დახმარება, ხოლო მეორე შშმ პირი არის აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული პირი და მისი გადაწყვეტილებით, შეინარჩუნა დევნილის შემწეობა.

დღეის მდგომარეობით ერთ მოქალაქეს შეუჩერდა შშმ პირის სტატუსი და სახელმწიფო გასაცემელი (პენსია) შშმ პირის სტატუსის მინიჭებას და დანიშვნას აფერხებს ის გარემოება, რომ მუნიციპალიტეტის სამედიცინო დაწესებულებაში არ არის სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარების საშუალება. აღნიშნულთან დაკავშირებით მიმდინარეობს მუშაობა, კერძოდ მხარდამჭერი პირის დანიშვნისათვის და შშმ პირის სტატუსის აღდგენისათვის. სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის სამსახური, სამომავლოდაც დიდ ყურადღებას დაუთმობს ამ მიმართულებით მუშაობას.

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს:

1. ვეფხია გუგეშაშვილმა, კომისიის წევრი, რომელმაც აღნიშნა, რომ ხომ არ იქნება მნიშვნელოვანი, რომ თვეში ერთხელ მაინც გაეწიოთ ასეთ პირებს სოციალური დახმარება.
2. მანანა ჩაგელიშვილმა, კომისიის წევრი, განათლების, კულტურის, სპორტის ახალგაზრდობის საქმეთა, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურის ხელმძღვანელი, რომელმაც თქვა, რომ მთავარია შშმ პირებმა მუდამ იგრძნონ თავიანთი უფლებების დაცვის მიმართულებით მხარდაჭერა. კარგი ღონისძიება აქვს დაგეგმილი ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის ტურისტულ საინფორმაციო ცენტრს, რომელიც მრავალძალში გეგმავს შშმ პირთათვის ექსკურსიას. კარგი იქნება, თუ გათვალისწინებული იქნება მათთვის კვება.

დ ა ა დ გ ი ნ ე ს:

1.მიღებული იქნეს ცნობად მარიამ რაზმაძის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვისა და მუნიციპალიტეტში ამ მიმართულებით

განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ შშმ პირების სამართლებრივი უფლებაუნარიანობის რეალიზების ხელშეწყობა“

2.ეთხოვოს ა(ა0იპ ონის მუნიციპალიტეტის მერიის ტურისტული საინფორმაციო ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელს გაითვალისწინოს ექსკურსიის მონაწილე შშმ პირთა კვებით უზრუნველყოფა ექსკურსიის დროს

მ ო ი ს მ ი ნ ე ს 2.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პოტენციალისა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მათი წვლილია პოპულარიზაცია.

მომხსენებელი - მირანდა მეტრეველი -მერიის წარმომადგენლებთან კოორდინაციის განყოფილების უფროსი

მომხსენებელმა მ. მეტრეველმა აღნიშნა, რომ შეზღუდული შესაძლებლობები დინამიური ცნებაა, რომლის მქონე პირთათვის საზოგადოებრივ ცხოვრებაში თანაბარი, სრულყოფილი და

ეფექტური მონაწილეობა შეფერხებულია. სწორედ ამიტომაა საჭირო მათზე და მათთვის ვზრუნავდეთ. ხაზგასასმელია ის ფაქტი, რომ მათი დიდი უმრავლესობა სიღარიბეში ცხოვრობს, რაც ნეგატიურ გავლენას ახდენს მათ ყოველდღიურ ცხოვრებაზე. სწორედ აქედან გამომდინარეა საჭირო და აუცილებელი მათი რეალიზებისა და სრული მონაწილეობის ხელშეწყობისათვის სხვადასხვა ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება.

ჩვენ, უკანასკნელ პერიოდში გარკვეული ნაბიჯები გადავდგით სოფლად, მერის წარმომადგენელთა გააქტიურების თვალსაზრისით, რაც გულისხმობს იმას ,რომ მკაცრად მოვთხოვეთ ეწარმოებინათ ზუსტი აღრიცხვა და თავი მოეყარათ შშმ პირებთან დაკავშრებით ინფორმაციებისთვის. მათ შორის იყო, მათი დასაქმების მდგომარეობის ანალიზიც. ამ ინფორმაციის საფუძველზე, საქართველოს მთავრობის დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, ჩვენი მუნიციპალიტეტის მასშტაბით, დაახლოებით 15 ადამიანია დასაქმებული, ხოლო იგივე პროგრამის ფარგლებში, დასაქმების პოტენციალი არის დაახლოებით 60 შშმ პირი, რომლებიც მერის წარმომადგენლების რეკომენდაციით, შესაძლებელია დასაქმდნენ შპს „სერვის ჯგუფში“ და შპს „დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სამსახურში, სხვადასხვა პოზიციებზე. სამწუხაროდ ამ ეტაპზე, საგანმანათლებლო შემეცნებით პროგრამებში ჩართვა ვერ ხორციელდება. მომხსენებელმა ხაზი გაუსვა იმას, რომ კარგია ასეთი საკითხები რომ იხილება საბჭოს სხდომაზე. ჩვენ ამის შემდეგ, მერის წარმომადგენლებს, კიდევ უფრო მეტ მხარდაჭერას მოვთხოვთ შშმ პირებთან ურთიერთთანამშრომლობის მიმართულებით.

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს:

1. მ. რაზმაძემ, კომისიის წევრი, რომელმაც თქვა, რომ ადგილებზე კარგად იცნობს თავის მოსახლეობას მერის თითოეული წარმომადგენელი, იცის შშმ პირთა შესაძლებლობები, იცის რა მიმართულებით სჭირდება დახმარება. ამის ვალდებულებაც აქვთ. უნდა გამოავლინონ მათი შესაძლებლობები და რაშიც სჭირდებათ დახმარება, უნდა შეეცადონ დაეხმარონ კიდევაც, ხოლო მათი საქმიანობის პოპულარიზაცია შესაძლებელია სხვა შშმ პირისთვის მაგალითიც კი გახდეს.

2. ხ. ღუღუნიშვილი, აღნიშნავს, რომ შშმ პირია ოთარ გრძელიშვილი, სოფელ ზუდალში მცხოვრები, რომელსაც აქვს ბევრი საინტერესო ნამუშევარი, მისი საქმიანობის პოპულარიზაციისთვის კარგი იქნება თუ მოეწყობა ნამუშევრების გამოფენა

დ ა ა დ გ ი ნ ე ს 2:

1. შეზღუდული შესაძლებლობის მონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭომ, შეისწავლოს ოთარ გრძელიშვილი ნამუშევრების გამოფენის მიზანშეწონილობის საკითხი და მოაწყოს გამოფენა შშმ პირთა საერთაშორისო დღეს, 3 დეკემბერს, ქალაქ ონში, მუნიციპალიტეტის ქალთა ოთახში

მ ო ი ს მ ი ნ ე ს 3:

დამოუკიდებელი ცხოვრების შესახებ ინფორმაციით, მხარდაჭერითა და კონსულტაციით სარგებლობა ადგილობრივი თვითმმართველობის სოციალურ, კულტურული. სპორტულ ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის შესაძლებლობა სხვებთან თანაბარ პირობებში

მომხსენებელი მანანა ჩაგელიშვილი, განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდობის საქმეთა, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურის უფროსი

მომხსენებელი აღნიშნავს, რომ მუნიციპალიტეტში მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ინფორმირებულობის საკითს, კერძოდ, დამოუკიდებელი ცხოვრების შესახებ ინფორმაციების მიწოდებას, კონსულტაციებით სარგებლობაში დახმარებას, ასევე სოციალურ, კულტურულ, სპორტულ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში მათთვის მაქსიმალური შესაძლებლობების უზრუნველყოფას.

ამ ამოცანის შესრულებას ემსახურება მუნიციპალიტეტში მერიის იურიდიული სამსახურის მიერ შშმ პირთათვის უფასო იურიდიული კონსულტაციების გაწევა.

გენდერული და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა მხარდაჭერას ემსახურება, ასევე პროექტი, რომელიც დაგეგმილია და განხორციელდება მიმდინარე წელს.

ამ პროექტის მიზანია: გენდერული და ოჯახში ძალადობის პრევენცია და მსხვერპლთა მხარდაჭერა.

პროექტის ფარგლებში:

- ქალებს, მათ შორის შშმ ქალებს გაეწევათ უფასო სამართლებრივი კონსულტაციები და მხარდაჭერა;
- მოხდება ქალთა ფსიქო-სოციალური და ეკონომიკური მხარდაჭერა და გაძლიერება;
- წარიმართება მუშაობა საკანონმდებლო, პოლიტიკურ, პროგრამულ და საბიუჯეტო მექანიზმების გაუმჯობესებაზე;
- ჩატარდება კვლევები მოსახლეობის საჭიროებებსა და დამოკიდებულებებზე გენდერული თანასწორობისა და უსაფრთხოების საკითხების შესახებ;
- წარიმართება მუშაობა აქტივისტთა ქსელთან, მათთვის სასარგებლო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად.

პროექტში ჩართული იქნებიან ქალბატონები, რომლებიც საჭიროებენ ფსიქო-ემოციურ მხარდაჭერასა და ეკონომიკურ გაძლიერებას, რომლებიც არიან პირდაპირი ან ირიბი ძალადობის

მსხვერპლები, კერძოდ, ქალბატონები, რომლებიც არიან შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები, ასევე არიან შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების ძირითადი მზრუნველები. ამ პროექტში ჩართულობა ერთერთი შესაძლებლობა გახდება შშმ პირთა ეკონომიკური გაძლიერებისთვის, მათი სოციალური კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის. პროექტი გრძელდება წლის ბოლომდე და მასში ჩართული შშმ ქალები, სხვა ქალებთან თანასწორად მიიღებენ მცირე გრანტებს ან მიიღებენ პროფესიულ განათლებას.

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს 2022 წლის სამუშაო გეგმის მესამე მიზანი, ამოცანა 3. 1. აქტივობა 3.1.1. აქტივობის შედეგის ინდიკატორია: „ონის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდობის საქმეთა, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურის ფეისბუქ გვერდზე შშმ პირთათვის, მათი უფლებების დაცვის შესახებ ინფორმაციების განთავსება“. სამსახურმა სწორად მიიჩნია და სრულიად მართებულადაც და აირჩია საქართველოს კანონის „შეზღუდული შესაძლებლობების პირთა უფლებების შესახებ“ მთლი რიგი პუნქტების გაცნობა მოსახელობისათვის, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის. სასიხარულოა, რომ კანონიდან ამონარიდების გამოქვეყნებას მოყვა დადებითი გამოხმაურება, მათ შორის ჩენი კომისიის წევრის ია ალიბეგაშვილის გამოხმაურება იყო სასიამოვნო. ამისთვის მას მადლობა გვინდა ვუთხრათ.

დღეისათვის უკვე გამოქვეყნდა მუხლი N 6, რომელიც ეხება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალებს. ამ მუხლის მიხედვით განმარტებულია, რომ 1. „სახელმწიფო უზრუნველყოფს შშმ ქალებისა და გოგონების ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების რეალიზებას სხვა ქალებთან თანასწორად.

2. სახელმწიფო შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ქალებსა და გოგონებს იცავს დისკრიმინაციისაგან საზოგადოების ცხოვრების ყველა სფეროში და უზრუნველყოფს მათთვის სათანადო პირობების შექმნას ქალისა და მამაკაცის თანასწორი უფლებების, თავისუფლებებისა და შესაძლებლობების რეალიზაციისათვის. ამ კატეგორიის პირთა მიმართ განხორციელებული ნებისმიერი ქმედება უნდა პასუხობდეს გენდერული თანასწორობის პრინციპებს, ქალთა და გოგონათა სპეციალური საჭიროებების გათვალისწინებით.

გამოქვეყნდა კანონის მე-9 მუხლი, რომელიც ეხება შშმ პირთა ჯანმრთელობის დაცვას. კერძოდ, სახელმწიფოს ვალდებულებებს. სახელმწიფოს ვალდებულებები გულისხმობს: ა)ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულების ხელმისაწვდომობას; ბ)სხვადასხვა სახის ჯანმრთელობის დაცვის პროგრამის განხორციელებას; გ) შესაბამისი სტანდარტებისა და მეთოდების დანერგვის ხელშეწყობას, რომლებიც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის კონკრეტული სერვისით სარგებლობას ხელმისაწვდომს გახდის. დ) პრევენციული, ადრეული დიაგნოსტიკისა და სამკურნალო- სარეაბილიტაციო სერვისების მიწოდებას, რაც უზრუნველყოფს შესაძლებლობას შეზღუდვის გამომწვევი ზოგადი მიზეზების იდენტიფიკაციას და შესაძლებლობების შეზღუდვის მინიმუმამდე დაყვანას.

მნიშვნელოვნად მივიჩნიეთ გამოგვექვეყნებინა კანონის ის მუხლი, რომელიც ეხება მუნიციპალიტეტის ორგანოებს/დაწესებულებებს, მათს ვალდებულებებს. ჩვენი სამსახური მუხლი 35. „მუნიციპალიტეტის ორგანოები/დაწესებულებები“ თითოეული პუნქტის შესრულებას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს. ამიტომ, მისი შესრულების უზრუნველსაყოფად, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს 2022 წლის სამუშაო გეგმაში შესასრულებელ საკითხთა გარკვეული ნაწილი სწორედ ამ ვალდებულებების შესრულებას შეეხება.

მომავალში, სამსახური, კვლავ გააგრძელებს საკუთარ გვერდზე საინფორმაციო მასალების განთავსებას რაც უზრუნველყოფს გეგმის ამ ნაწილის მოთხოვნის შესრულებას.

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს:

1.ვეფხო გუგეშაშვილმა, საბჭოს წევრი, რომელმაც აღნიშნა, რომ მე არ მინახავს, თუ სად ხდება ინფორმაციების გავრცელება, მინდა, რომ ჩემთვისაც ხელმისაწვდომი იყოს ინფორმაცია ჩემი უფლებების შესახებ
2. ლამარა გამყრელიძემ, კომისიის მდივანი, რომელმაც განუმარტა ვ, გუგეშაშვილს, რომ განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდობის საქმეთა, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურის ვებგვერდზე, პერიოდულად ქვეყნდება, საქართველოს კანონიდან „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ ამონარიდები. დღესაც გამოქვეყნდა 35-ე მუხლი, რომელიც შეეხება მუნიციპალიტეტის ორგანოებსა და დაწესებულებების ვალდებულებებს.

დ ა ა დ გ ი ნ ე ს 3:

1. განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდობის საქმეთა, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურმა, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს 2022 წლის სამუშაო გეგმის მოთხოვნათა შესაბამისად, კვლავ განაგრძოს ინფორმაციული მასალის გამოქვეყნება, შშმ პირთათვის მათი უფლებების გაცნობის მიზნით

მ ო ი ს მ ი ნ ე ს 4:

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო და მუნიციპალური პროგრამების მორგება, სოციალური დახმარების გაცემა

მომხსენებელი მარიამ რაზმაძე - სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების ხელმძღვანელი

მ. რაზმაძე აღნიშნავს, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, მუნიციპალური პროგრამის „ონის მუნიციპალიტეტის მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მქონე პირებზე ონის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარებების გაცემის წესის“ შესაბამისად შშმ პირებზე გაიცა დახმარებები შემდეგნაირად, კერძოდ:

ავადმყოფთა დახმარების პროგრამით ერთჯერადი დახმარება ეძლევა მოქალაქეებს, თუ ისინი აუცილებლად საჭიროებენ სამედიცინო-დიაგნოსტიკურ კვლევებს, სტაციონარში მედიკამენტურ მკურნალობას ან/და სასწრაფო ოპერაციას და მათი აღნიშნული მკურნალობის ხარჯებს სრულად არ ფარავს ჯანდაცვის არცერთი პროგრამა. დახმარება ეძლევა, ასევე მოქალაქეს, რომლის ოჯახის სარეიტინგო ქულა სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში შეადგენს 0-დან 70 001- ქულას, მას უნაზღაურდება წარმოდგენილი თანხის 80% პროცენტი, მაგრამ არაუმეტეს 1500 ლარისა; მოქალაქეს, რომლის ოჯახის სარეიტინგო ქულა სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში შეადგენს 70 001-დან 150 001- ქულას, უნაზღაურდება წარმოდგენილი თანხის 60% -ით არაუმეტეს 1000 ლარისა.

2022 წლის იანვრიდან დღემდე 16 შშმ პირზე გაიცა ერთჯერადი ფულადი დახმარება 8764 (რვაათას შვიდას სამოცდაოთხი) ლარის ოდენობით.

ონის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ მოქალაქეს, რომელიც სარგებლობს ჰემოდიალიზის კომპონენტის სამედიცინო მომსახურებით, ყოველთვიურად ეწევა ფულადი დახმარება 150 (ასორმოცდაათი) ლარის ოდენობით.

2022 წლის იანვრიდან დღემდე, დიალიზის პროგრამით სარგებლობს 4 - ბენეფიციარი.

ონის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ ონკოლოგიური დაავადების მქონე მოქალაქეს, მედიკამენტებით უზრუნველყოფის მიზნით ეძლევა ერთჯერადი ფულადი დახმარება 150 (ასორმოცდაათი) ლარის ოდენობით.

მედიკამენტებით უზრუნველყოფის მუხლიდან, 2022 წლის იანვრიდან დღემდე, მერიის სოციალური და ჯანმრთელობისა დაცვის განყოფილების პროგრამით, ისარგებლა 9 - ბენეფიციარმა.

არასაპენსიო ასაკის შეზღუდული შესაძლებლობის და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა დახმარების მიზნით, მუნიციპალიტეტში გაიცემა ერთჯერადი ფულადი დახმარება - 300 ლარი. პროგრამის ბიუჯეტი შეადგენს 15 000 ლარს.

2022 წლის იანვრიდან დღემდე, 31 ბენეფიციარზე გაიცა ერთჯერადი ფულადი დახმარება 9 900 (ცხრა ათას ცხრაასი) ლარი. მათ შორის 18 წლამდე ასაკის 7 შშმ პირზე.

18 წლამდე ასაკის შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროე ბის მქონე პირებზე ერთჯერადი ფულადი დახმარება 100 ლარი, გაიცემა ყოველწლიურად, 1ივნისს, ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით.

დღეის მდგომარეობით 5 შშმ ბავშვზე, გაიცა ერთჯერადი ფულადი დახმარება 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით.

უსახლკარო, სოციალურად დაუცველი ოჯახების საცხოვრებელი ბინის ქირით ყოველთვიური უზრუნველყოფის მიზნით, დახმარება ეძლევა განსაკუთრებით მძიმე სოციალური პირობების მქონე უსახლკარო ოჯახებს, რომელთაც არ გააჩნიათ საცხოვრებელი ფართი, ან თავშესაფარი და ოჯახის სარეიტინგო ქულა არ აღემატება 120 000-ს. საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების მიზნით, მათზე გაიცემა ონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ბინის ქირის კომპენსაცია, არაუმეტეს თვეში 150 (ასორმოცდაათი) ლარი.

2022 წლის იანვრიდან დღემდე, ბინის ქირის პროგრამით სარგებლობს 1 - შშმ პირი.

ონის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ომის ვეტერანების, საქართველოს ტერიტორიული ერთიანობისათვის ბრძოლაში დაინვალიდებულ პირთა და ბრძოლის დროს დაღუპულ მეომართა ოჯახების სოციალური დახმარების მიზნით, საქართველოს ტერიტორიული ერთიანობისათვის ბრძოლაში დაინვალიდებულ პირზე, 26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღესასწაულთან დაკავშირებით, გაიცემა ერთჯერადი ფულადი დახმარება 100 ლარის ოდენობით.

დღეის მდგომარეობით 2 დაინვალიდებულ პირზე გაიცა 200 ლარი.

ბიუჯეტი შეადგენს 4 400 ლარს.

არასაპენსიო ასაკის შშმ პირების, მათ შორის ბავშვების, ონის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ ომის ვეტერანთა, მათთან გათანაბრებულ პირთა, აფხაზეთიდან და ცხინვალიდან დევნილთა ოჯახების დახმარების მიზნით (ყოველთვიურად), წყლის და კანალიზაციის გადასახადის და დასუფთავების მოსაკრებლის დაფარვა ხორციელდება აღნიშნული მუნიციპალური პროგრამით. პროგრამის ბიუჯეტი შეადგენს 4 000 ლარს.

2022 წლის იანვრიდან დღემდე პროგრამით სარგებლობს 43 - ბენეფიციარი.

ა ზ რ ი გ ა მ ოთ ქ ვ ე ს:

1. მ. ჩაგელიშვილმა, საბჭოს წევრი, რომელმაც აღნიშნა, რომ განსაკუთრებული ყურადღება აქვს დათმობილი ავადმყოფთა დაფინანსებას, უნდა აღინიშნოს, რომ თუ დღის წესრიგში დადგა საკითხი, განსაკუთრებით სამეურნეო წლის დასასრულისკენ და საჭირო გახდა ბიუჯეტიდან თანხების დამატებით მობილიზება, არასდროს შეფერხება არ ქონიათ ჩვენს მოქალაქეებს და რა რაოდენობის თანხის გაცემაცაა დაგეგმილი ერთ ბენეფიციარზე, დამატებით გამოიყოფა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან, რაც ძალიან კარგია.

  დ ა ა დ გ ი ნ ე ს 4:

მიღებული იქნეს ცნობად სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების ხელმძღვანელის მარიამ რაზმაძის ინფორმაცია „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო და მუნიციპალური პროგრამების მორგება, სოციალური დახმარების გაცემის შესახებ“.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე

საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე - ლ. შერაზადიშვილი

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე

საბჭოს მდივანი ლ. გამყრელიძე

2022 წელი, 3 ივნისი